ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო და საკურიერო მომსახურების ტექნიკური დავალება:

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების გაწევა საქართველოს და საერთაშორისო ტერიტორიაზე.
2. სხვადახვა წონის საფოსტო გზავნილების - წერილობითი ფოსტის, ყველა სახის დოკუმენტის, ამანათების (შემდგომში - „გზავნილი“) გადაგზავნა უნდა განხორციელოს დანართი №1-ის (ფასთა ცხრილის) შესაბამისად.
3. შემსყიდველის მიერ შესაძლებელი უნდა იყოს გზავნილის მოძრაობისადმი თვალის მიდევნება ინტერნეტის საშუალებით ონლაინ რეჟიმში - ე.წ. „თრექინგი“. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა გზავნილის „თრექინგ-კოდის“ მიწოდება, გზავნილის რეალურ დროში ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით.
4. *საქართველოს ტერიტორიაზე* ადრესატისათვის გაგზავნილი გზავნილი მიმწოდებლის წარმომადგენლისათვის/კურიერისთვის შემსყიდველის მიერ გზავნილის გადაცემიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, უნდა ჩაბარდეს ადრესატს. გზავნილის ჩაბარება უნდა დადასტურდეს შესაბამის ჩაბარების დოკუმენტაციაში გზავნილის მიმღების ხელმოწერით. თუ ადრესატი ან სხვა პირი ადგილზე არ იმყოფება, გზავნილის განმეორებით (მეორეჯერ) მიტანა მითითებულ მისამართზე უნდა განხორციელდეს უფასოდ მომდევნო სამუშაო დღეს და მხოლოდ ამის შემდეგ კვლავ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 2 სამუშაო დღე) წერილობით აცნობოს შემსყიდველს ინფორმაცია ჩაუბარებლობის მიზეზის შესახებ და უფასოდ განახორციელოს გზავნილის უკან დაბრუნება. ყოველი განმეორებით (მეორეჯერ) გატანილი გზავნილი უნდა აისახოს ელექტრონულად გზავნილის ისტორიაში უნიკალური შტრიხკოდის ქვეშ. თუ ადრესატი არ იმყოფება მისამართზე, ამ შემთხვევაში, მიმწოდებლის წარმომადგენელმა მას უნდა დაუტოვოს შეტყობინება. შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: გზავნილის ნომერი, საკონტაქტო მონაცემები და კურიერის განმეორებით მისვლის დრო. ასევე, მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს თვიური სტატისტიკური მონაცემების მიწოდება შემსყიდველისათვის შესაბამისი გზავნილის რეკვიზიტებით.

5. *საზღვარგარეთის ტერიტორიაზე* ადრესატისათვის გაგზავნილი გზავნილი მიმწოდებლის წარმომადგენლისათვის/კურიერისთვის შემსყიდველის მიერ გზავნილის გადაცემიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადრესატს. გზავნილის ჩაბარება უნდა დადასტურდეს შესაბამის ჩაბარების დოკუმენტაციაში გზავნილის მიმღების ხელმოწერით. თუ ადრესატი ან სხვა პირი ადგილზე არ იმყოფება, გზავნილის განმეორებით (მეორეჯერ) მიტანა მითითებულ მისამართზე უნდა განხორციელდეს უფასოდ მომდევნო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ კვლავ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე) წერილობით აცნობოს შემსყიდველს ინფორმაცია

ჩაუბარებლობის მიზეზის შესახებ და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს მას გზავნილი (არაუმეტეს გზავნილის გაგზავნის ღირებულებით). ყოველი განმეორებით (მეორეჯერ) გატანილი გზავნილი უნდა აისახოს ელექტრონულად გზავნილის ისტორიაში უნიკალური შტრიხკოდის ქვეშ; ასევე, მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს თვიური სტატისტიკური მონაცემების მიწოდება შემსყიდველისათვის შესაბამისი გზავნილის რეკვიზიტებით.
6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის საჭირო შესაფუთი მასალით შეუფერხებელი და უფასო მომარაგება.
7. მომსახურების კონტროლისა და ანალიზისთვის მიმწოდებელმა უნდა გამოყოს სპეციალური მენეჯერი, რომლის კომპეტენცია უნდა განისაზღვროს მომსახურების კონტროლით და საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის დროული ინფორმირებით;
8. გზავნილის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს.
9. საერთაშორისო ნორმებით დადგენილი წესის შესაბამისად, გზავნილი დაკარგულად ჩაითვლება გაგზავნიდან მაქსიმუმ ერთი თვის გასვლის შემდეგ, რაც გზავნილის მარშრუტის სისტემაში აისახება ელექტრონულად.
10. გზავნილის შემცველობის დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველის არჩევანისამებრ, მიმწოდებელი ან უფასოდ, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გზავნილის ხელმეორედ გაგზავნას, ან მას დაეკისრება ჯარიმა დაკარგული ან დაზიანებული გზავნილის მომსახურების ღირებულების სრული ოდენობით.
11. მიმწოდებელს გზავნილის გაგზავნამდე შემსყიდველისგან მიეწოდება ადრესატისათვის გზავნილის ჩასაბარებლად საჭირო ინფორმაცია (საქართველოს ტერიტორიაზე -ადრესატი, ქალაქი/რეგიონი, ადრესატის მისამართი, საკონტრაქტო პირი და ტელეფონის ნომერი, საზღვარგარეთის ტერიტორიაზე - ადრესატი, ქვეყანა, ქალაქი/პროვინცია/რეგიონი, ადრესატის მისამართი, საკონტრაქტო პირი და ტელეფონის ნომერი).
12. შემსყიდველის მიერ არასრული მისამართის, ან/და ტელეფონის ან/და საკონტაქტო პირის მითითების შემთხვევაში და ასევე, არასწორად მითითებული ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს და შეასრულოს შემსყიდველის შემდგომი მითითება (მაგ: ინფორმაციის შეცვლა/დამატება/შევსება, გზავნილის უკან დაბრუნება ან სხვა). საზღვარგარეთის ტერიტორიაზე შემსყიდველის მიერ მითითებული მისამართისაგან განსხვავებულ მისამართზე გაგზავნილი საერთაშორისო გზავნილის გადამისამართება ხორციელდება იმავე ქალაქში უფასოდ, ამ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განახლებული მისამართი მიმწოდებელს გადასცეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
13. მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის ან/და რეესტრის საფუძველზე შემსყიდველისაგან ჩაიბაროს გასაგზავნი დოკუმენტები/ამანათები რაოდენობისა და ადრესატების შესახებ ინფორმაციის შესაბამისად.

14. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საერთაშორისო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულ ენაზე მიწოდება შემსყიდველისათვის (ორგანიზაციის ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული), სადაც მითითებული იქნება

გზავნილის ჩაბარების ზუსტი თარიღი, დრო და ადრესატის ვინაობა, ხელმოწერა ან ორგანიზაციის ბეჭედი ან სხვა საჭირო ინფორმაცია გზავნილის ჩაბარებასთან დაკავშირებით შემსყიდველის წერილობით მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

15. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს უფასო საკურიერო მომსახურება. უზრუნველყოს შემსყიდველისაგან საფოსტო გზავნილის წამოღება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე, ყოველ სამუშაო დღეს არაუგვიანეს 17:00 საათამდე, ხოლო მოტანა არაუმეტეს 11:00 საათისა (საჭიროების შემთხვევაში დღეში ორჯერ). სასწრაფო გზავნილის მისაღებად მიმწოდებელი საფოსტო გზავნილის მიღების ადგილზე ცხადდება შემსყიდველთან შეთანხმებული ვადის განმავლობაში.
16. შემსყიდველის მიერ მითითებული მისამართისაგან განსხვავებულ მისამართზე გაგზავნილი გზავნილის გადამისამართება (გზავნილის უკან დაბრუნებამდე) ხორციელდება იმავე ქალაქში/სოფელში/ტერიტორიულ ერთეულში უფასოდ, ამ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განახლებული მისამართი მიმწოდებელს გადასცეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
17. ადგილობრივი გზავნილების ჩაბარების ვადა: 1-2 სამუშაო დღე, მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულები - 5 სამუშაო დღე.

18. სტანდარტული საერთაშორისო გზავნილის ჩაბარების ვადა: 5-15 სამუშაო დღე.

19. ადგილობრივი გზავნილის კურიერის მეშვეობით ადრესატზე/ფიზიკურ პირზე ჩაბარება ხორციელდება პირადად, საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ადრესატისათვის საქმიანობის ადგილზე გაგზავნილი გზავნილი უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან/და პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში - შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია გზავნილი გადასცეს ადრესატს. გზავნილის ჩაბარება დასტურდება გზავნილის მიმღების ელ.ხელმოწერით, პირადი ნომრის მითითებით. თუ გზავნილის ჩამბარებელმა ადრესატი ვერ ნახა საქმიანობის ან საცხოვრებელ ადგილზე, იგი გზავნილს აბარებს საცხოვრებელ ადგილზე მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან, ქმედუნარიან წევრს ან საქმიანობის ადგილზე კანცელარიას. თუ ადრესატი არ იმყოფება მისამართზე, ამ შემთხვევაში, მიმწოდებლის წარმომადგენელი ტოვებს შეტყობინებას კარზე. შეტყობინებაში აღნიშნულია შემდეგი ინფორმაცია:გზავნილის ნომერი, საკონტაქტო მონაცემები და საფოსტო სერვისცენტრში გზავნილის დაყოვნების დრო. შენახვის ვადის განმავლობაში ჩაუბარებელი გზავნილი უბრუნდება დამკვეთს, უფასოდ. სრული ინფორმაცის გზავნილის დაბრუნების თაობაზე შესაძლებელის ელ.პროგრამის საშუალებით.

დანართი N1

ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო და

საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

ორგანიზაციის დასახელება ----------

N	მომსახურების დასახელება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ნებისმიერი გზავნილის ტარიფი საქართველოს მასშტაბით 0 გრ-დან 500 გრ-მდე	2000		
2	ნებისმიერი გზავნილის ტარიფი საქართველოს მასშტაბით 500გრ-დან 1 კგ-ის ჩათვლით	5		
3	ნებისმიერი გზავნილის ტარიფი საქართველოს მასშტაბით 1კგ-დან 2 კგ-ის ჩათვლით	5		
4	ნებისმიერი გზავნილის ტარიფი საერთაშორისო მასშტაბით 0 გრ-დან 250 გრ-მდე	10		
5	სასწრაფო გზავნილის ტარიფი საქართველოს მასშტაბით 0 გრ-დან 500 გრ-მდე	20		
	სულ ჯამი:			

დანართი №1-ში (მომსახურების ხარჯთაღრიცხვა) მოცემულია მომსახურების სავარაუდო მოცულობა, რომელიც შეიძლება სრულად არ იქნეს ათვისებული. შესაბამისად, მომსახურების გაწევის ვადის ამოწურვის მომენტისათვის დარჩენილი თანხა (არსებობის შემთხვევაში) რჩება შემსყიდველთან და იგი არ წარმოშობს რაიმე დამატებით ვალდებულებებს მიმწოდებლის მიმართ. ასევე, თუ მომსახურების გაწევისას აღმოჩნდა, რომ მომსახურების ჩამონათვალიდან რომელიმე პოზიციაზე მომსახურების მოცულობა (რაოდენობა) ამოიწურა და აღნიშნული მომსახურების გაწევა დამატებით გახდა აუცილებელი, შემსყიდველის შეხედულებისამებრ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება სხვა მომსახურების მოცულობის (რაოდენობის) შემცირებით, ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეუცვლელად.

მომსახურების ხარჯთაღრიცხვაზე-დანართი N1 შესრულებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.